საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №94/ნ

2023 წლის 27 სექტემბერი

ქ. თბილისი

„ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 26 ოქტომბრის №111/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 26 ოქტომბრის №111/ნ ბრძანებით (სსმ, 140, 29/10/2010, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.016026) დამტკიცებულ „ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ჩატარების წესში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) ოლიმპიადის მონაწილე – საბაზო ან/და საშუალო საფეხურის მოსწავლე, რომელიც შესაბამისი საგნის მიხედვით დარეგისტრირდა ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად, ამ წესის შესაბამისად.“;

2. მე-11 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ოლიმპიადის პირველ ტურში მონაწილეობა შეუძლია როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირის – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საბაზო ან/და საშუალო საფეხურის მოსწავლეს, რომელიც დარეგისტრირდება ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად.“.

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 – 1^3 პუნქტები:

„1^1. ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად მოსწავლის რეგისტრაცია ხორციელდება ცენტრის დირექტორის მიერ დადგენილ ვადებში, ელექტრონულად, სპეციალური ელექტრონული პროგრამის (სარეგისტრაციო პროგრამის) გამოყენებით.

1^2. რეგისტრაციის დროს მოსწავლე:

ა) ირჩევს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დასახელებას, სადაც სწავლობს, ასევე შესაბამის რეგიონსა და მუნიციპალიტეტს;

ბ) შესაბამის ველში უთითებს თავის პირად ნომერსა და მობილური ტელეფონის ნომერს;

გ) ირჩევს ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ფარგლებში ჩასაბარებელ საგანს/საგნებს;

დ) ავსებს პაროლის ველს, რომლის გამოყენებითაც შეძლებს სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში (სარეგისტრაციო პროგრამაში) შესვლას.

1^3. რეგისტრაციის დადასტურების თაობაზე შეტყობინებას მოსწავლე მიიღებს მობილურ ტელეფონზე.“;

გ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. იმ შემთხვევაში, თუ პირი არის წინა წლის შესაბამისი საგნის/საგნების ოლიმპიადის გამარჯვებული ან საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადის წინა წლების ეროვნული/სასკოლო ნაკრები გუნდის წევრი/რეზერვისტი და იგი საპატიო მიზეზით ვერ გაივლის რეგისტრაციას/ვერ მიიღებს მონაწილეობას ოლიმპიადის პირველ ან მეორე ტურში, მას უფლება აქვს გავიდეს ოლიმპიადის შემდეგ ტურში იმ საგანში/საგნებში, რომლებზეც ვერ მიიღო მონაწილეობა პირველ ან მეორე ტურში. საპატიო მიზეზს განსაზღვრავს ცენტრი. საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადის მონაწილის ან წინა წლების ეროვნული ნაკრები გუნდის წევრის/რეზერვისტის თაობაზე ცენტრი ეყრდნობა სამინისტროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი **ნოდარ პაპუკაშვილი**